სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის

ბრძანება №8

2022 წლის 24 მაისი

ქ. თბილისი

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ემბლემის დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

1. დამტკიცდეს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ემბლემა თანდართული სახით.

მუხლი 2

1. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 17 მაისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი **კარლო კაციტაძე**

დანართი

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ემბლემა

აღწერილობა:

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ემბლემა წარმოადგენს ლაჟვარდის არშიით შემოსაზღვრულ დაშვებულ ხმალზე განთავსებულ გადაშლილ წიგნს, რომლის მარცხენა გვერდზე გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო დროშის ხუთჯვრიანი კომპოზიცია, ხოლო ხმლის ზემოდან გამოსახულია სტილიზებული ივერიული გვირგვინი.